



შირაკი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან
დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№ 28 (10.084)
5-12 აგვისტო 2023 წელი
ფასი: 60 თეთრი
ყოველკვირეული გამოსვლა

დადოფლისწყარო 2023



2 აგვისტოს, დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სააკლასიო და სასაღვთისმშობლის ეკლესიაში და „დადოფლისწყარო 2023“ ერთად აღინიშნა. წმ. ელია თეაზბიტელის სახელობის ტაძარში ნიკოპაპარქის მღვდელმთავრებმა ჩაატარეს.

ამის შემდეგ დღესასწაულმა ელიის მთის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაინაცვლა, სადაც, ქართულ ჭიდაობაში ბიძინა მაზიაშვილის სახელობის მემორიალური ტურნირი გაიმართა. ტურნირი, ტრადიციულად, ელიაობისა და დადოფლისწყაროს დღესასწაულს მიეძღვნა და მასში მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა მიიღეს. ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნის ტურნირს ესწრებოდნენ: კახეთის მხარეში სამხარეო რწმუნებული - გიორგი ალადაშვილი, დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ნუგზარ პაპიაშვილი და თვითმმართველობის წარმომადგენლები.

დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით „დადოფლისწყაროს“ დასვენითი ღონისძიების დაწყებამდე საბავშვო გასართობი ღონისძიება გაიმართა. მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის ეზოში მისული პატარებისთვის მოეწყო საპნის ბუშტების შოუ, ხოლო მათ განწყობაზე ანიმატორებმა და ზღაპრის გმირებმა იზრუნეს.

ტრადიციული სახალხო ზეიმის - „დადოფლისწყაროს“ მთავარი ღონისძიება კი დადოფლისწყაროს კულტურის სახლის ეზოში გაიმართა. დადოფლისწყაროელებისთვის და ჩვენი ქალაქის სტუმრებისთვის ცნობილი და საყვარელი

მუსიკალური ნომრები ჯგუფმა, „რეზო და ბავშვებმა“, მასტერმა, გიორგი ნიკლაურმა, მარი მამისმედივილიმა, თამუნა ამონაშვილიმა და ტატო გოდერძიშვილიმა შეასრულეს. ღონისძიებას თამუნა გომარტელი და ნანიკო ხაზარაძე უძღვებოდნენ.



სალამოს კულმინაციური ნაწილი დადოფლისწყაროს საპატო მოქალაქეების გამოვლენა იყო. ისინი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ალადაშვილიმა, მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით სონღულაშვილიმა, პარლამენტარმა ნინო ნილოსანმა, დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიშვილიმა და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილიმა დააჯილდოვეს.



საპატო დადოფლისწყაროელი არიან:
* მავჰალა გონაშვილი - პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს კულტურის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;

* ილია გავიშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;
* ამირან სალუქვაძე - ბრიგადირ-გენერალი თადარიგში.

გიორგი ალადაშვილი, კახეთის გუბერნატორი: „2 აგვისტო მნიშვნელოვანი დღეა დადოფლისწყაროში. უკვე მეათე წელია ეს დღე საერო და საეკლესიო დღესასწაულს აერთიანებს - დადოფლისწყაროს და წმ.ელია თეზბიტელის ხსენების დღეს. ყოველწლიურად მუნიციპალიტეტი და მისი მოსახლეობა მასშტაბურად აღნიშნავს ამ მნიშვნელოვან დღეს. ნელსაც, დღესასწაულზე დასასწრებად, უამრავი სტუმარი არამარტო კახეთის რეგიონიდან, არამედ დედაქალაქიდანაც ჩამოვიდა. ყველა დადოფლისწყაროელს ვულოცავ ამ დღესასწაულს. წინსვლა და წარმატებები მინდა ვუსურვო მათ“.

ნიკოლოზ ჯანიშვილი, დადოფლისწყაროს მერი: „დადოფლისწყაროში უკვე ათი წელია, რაც ტრადიციულად ქცეული დადოფლისწყაროს აღნიშვნა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩვენი მუნიციპალიტეტის, ჩვენი ქალაქის საპატო მოქალაქეები გამოვავლინოთ და ერთმანეთს ლამაზი საღამო ვაჩუქოთ. ამ შესანიშნავი მუნიციპალიტეტი ცდილობს მადლობა უთხრას და ღვაწლი დაუფასოს ყველას, ვისაც რაიმე წვლილი შეაქვს დადოფლისწყაროს განვითარებისთვის“.

ტრადიციული სახალხო ზეიმის - „დადოფლისწყაროს“ მთავარი ღონისძიება, გალა-კონცერტი, ფორმირებით დასრულდა.



ოჯანო ახალი სკოლის მშენებლობა მოინახულა

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო სოფელ ოჯანში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობას ახორციელებს.

სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი ლევან სუხიტაშვილი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადგილზე გაეცნენ.

120 მოსწავლეზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტების ახალი სკოლის შენობა სრულად იქნება აღჭურვილი ყველა შესაბამისი სასწავლო რესურსითა და თანამედროვე ინფრასტრუქტურით. სასწავლო სივრცეებთან ერთად თავმოყრილი იქნება საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ექიმის კაბინეტი და ბიბლიოთეკა. სკოლა ადაპტირებული იქნება სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, მოეწყობა პანდუსი და ადაპტირებული სანიტარული კვანძები.

პროექტის ფარგლებში განხორციელდება ეზოს კეთილმოწყობა და სპორტული მოედნის მშენებლობა. შედეგად, თანამედროვე და კეთილმოწყობილი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურით სკოლის 86 მოსწავლე და 23 თანამშრომელი ისარგებლებს.

2 მილიონ 800 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით ხორციელდება.

განათლების რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტს თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა წარმოადგენს,



რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროცესის თანამედროვე და ტექნოლოგიურად გამართულ გარემოში წარმართვას. შესაბამისად, საქართველოს მასშტაბით, სკოლების მშენებლობა, რეაბილიტაცია და აღჭურვა უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.

ლევან სუხიტაშვილი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი: „პროექტის დასრულების შემდგომ, სკოლა მთლიანად, თავისი ინფრასტრუქტურით, აბსოლუტურად შესაბამისი იქნება საერთაშორისო, თანამედროვე სტანდარტებთან, სადაც სკოლის მოსწავლეები შეძლებენ მიიღონ მაქსიმალურად სრულყოფილი განათლება. 2,800,000 ლარი გახლავთ პროექტის ჯამური ღირებულება და

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიმდინარე წლის ბოლოს მას სრულად დავასრულებთ“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი: „სოფელ ოჯანში ამ სკოლის მშენებლობას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის და ამ სოფლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ახალი, თანამედროვე 120 ბავშვზე გათვლილი ევროპული სტანდარტების სკოლა პრაქტიკულად აშენდა, უკვე მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც რამდენიმე თვეში დასრულდება და ჩვენი სკოლის ალსაზრდელებს ექნებათ საშუალება ახალ სკოლაში მიიღონ საფუძვლიანი განათლება“.

მომზადდა
უწყუნა ყანაშვილი

კლინიკების გამორჩეული ექიმები დააჯილდოვეს

„რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ხელმძღვანელობამ კლინიკების გამორჩეული ექიმები დააჯილდოვა. მათ შორისაა დედოფლისწყაროს კლინიკის მენეჯერი ხათუნა აბლაძე-ზურაბიძე.

რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა ირაკლი ბერიამ, ამ დიდ პროფესიულ ბრძოლაში გამორჩეული ექიმები სიმბოლურად დააჯილდოვა. მენეჯმენტთან შემაჯამებელ შეხვედრაზე მათ მადლობის სიტყვები გადაეცათ. გზავნილი ასეთია - მადლობა ჩვენს ექიმებს „ჯანდაცვის სფეროში შეტანილი წვლილისა და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის“.

„ჩვენი ექიმების უმრავლესობა მედიცინას ათობით წელია ემსახურება. რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის შექმნის პირველივე დღიდან ისინი ცენტრის გარშემო ერთიანდებიან. ამ დროისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით, 8 რეგიონში 65 000-მდე პაციენტს ვმართავთ. ეს დიდი პასუხისმგებლობაა ჩვენთვისაც და მათთვისაც, ვინც თითოეულ მუნიციპალიტეტში სერვისების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. წარმატება კი პროფესიონალიზმთან ერთად კეთილსინდისიერების გზითაა შესაძლებელი. თითოეული კლინიკის ეს წარმატება გუნდის საერთო მონაპოვარია.“

დაჯილდოვების გარდა, გასულ კვირას „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ სამუშაო შეხვედრაზე გაიმართა, სადაც ყველა კლინიკის ხელმძღვანელი პირი მონაწილეობდა. მათ 2023-2024 წლის მართვის სტრატეგია შეიმუშავეს. ყველა კლინიკას რეაბილიტაციის და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პარალელურად ყოველდღიურ მენეჯმენტში რეფორმული ცვლილებები დაეგეგმა.

როგორც იქნება ცენტრალური ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები და მოთხოვნები - ეს დირექტორმა ირაკლი ბერიამ 19 კლინიკის ადმინისტრაციას გაფართოებულ შეხვედრაზე გააცნო. რეგიონებში ცენტრის მართვის ქვემდევ კლინიკების მონახულების შემდეგ შემაჯამებელ შეხვედრას დაეძალა კლინიკური და ალმასრულებელი ხელმძღვანელები დაესწრნენ.

რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის სამუშაო ჯგუფმა დარგობრივი მიმართულებით არსებულ ვითარებასა და სამომავლო გეგმებზე ვრცელი მოხსენებები წარადგინა.

ცვლილებები ეხება ფინანსურ წარმოებასაც, რომლის შედეგადაც თითოეული კლინიკაში ეკონომიკური ვითარება უნდა შეიცვალოს. ადმინისტრაციის მიზანი 19-ვე კლინიკის კონკურენტუნარიანობის ზრდაა, რისთვისაც მუშაობა უკვე დაწყებულია და პირველად შედეგებს ცენტრალური ხელმძღვანელობა ოქტომბრის თვეში ელოდება - აღნიშნავენ რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში.

ქრაციის მიზანი 19-ვე კლინიკის კონკურენტუნარიანობის ზრდაა, რისთვისაც მუშაობა უკვე დაწყებულია და პირველად შედეგებს ცენტრალური ხელმძღვანელობა ოქტომბრის თვეში ელოდება - აღნიშნავენ რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში.

შემაჯამებელ შეხვედრას წინ უძღვოდა ყველა ქალაქში ახლადდა-



ნიშნული ხელმძღვანელის ვიზიტი. ირაკლი ბერია ყველა კლინიკაში არსებულ ვითარებას და პრობლემებს ადგილზე გაეცნო. ცენტრის ხელმძღვანელმა დასაქმებულებს გააცნო სამომავლო ხედვა და განხილული იქნა თანამშრომლობის პრინციპები. შეხვედრები შედგა ცენტრის მართვის ქვემდევ მყოფი სამედიცინო დაწესებულებების კლინიკურ ხელმძღვანელებთან და სამედიცინო კოლექტივთან. განხილულ იქნა სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტები. მიზანი ხელმძღვანელის მიერ მართვის სტრატეგიის განსზღვრა და გაცნობაა. პროცესში აქტიურად არის ჩართული სამუშაო ჯგუფიც, რომელიც საკვანძო მიმართულებების მიხედვით დაკონკრეტდა.

ჯგუფი კლინიკებთან მუდმივ რეჟიმში უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას და მზად არის ხელი შეუწყოს ადგილობრივ მენეჯმენტს სამედიცინო სერვისების გაუმჯობესებაში. როგორც მედიკოსები აცხადებენ, გაფართოებული შეხვედრა ამ ფორმატით რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში პირველად ჩატარდა და ამიერიდან განმეორებითი ხასიათი ექნება.

დედოფლისწყაროში სტუმრობისას ბერიამ ასევე მოინახულა კლინიკაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგაც კლინიკაში კომპიუტერული ტომოგრაფიის კაბინეტი მოეწყობა და ადგილობრივებს შესაძლებლობა ექნებათ კვლევები, რომლებისთვისაც გურჯაანში დადიოდნენ, ახლა ადგილზე ჩაიტარონ. ახალი ფლიგელის მშენებლობა დეკემბერში უნდა დასრულდეს, თუმცა დაგვიანებით, ახლახან დასრულდა.

დედოფლისწყაროს სამედიცინო დაწესებულება ფუნქციონირებს 2013 წლიდან და ათი წლის განმავლობაში ემსახურება 12 000 მდე ბენეფიციარს. ახლადშენებული კლინიკა კი დედოფლისწყაროში 2016 წლის ოქტომბერში გაიხსნა.

ილია მარტყოფლიშვილი



საქართველოსა და ჩინეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის უმთავრესი დადგენილებები

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ლარიაშვილის ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში, 31 ივლისს მხარეებმა სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების შესახებ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, განცხადება ოთხი ნაწილისაგან შედგება: პოლიტიკური განზომილება, ეკონომიკური განზომილება, ხალხთაშორისი და კულტურული ურთიერთობის განზომილება და საერთაშორისო განზომილება. გთავაზობთ, განცხადების სრულ ვერსიას:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს ერთობლივი განცხადება სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების შესახებ.

ქ. პეკინი, 2023 წლის 31 ივლისი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბატონი ირაკლი ლარიაშვილი 2023 წლის 26 ივლისიდან 1 აგვისტომდე ჩინეთში ვიზიტის დროს ქ. ჩენგდუში ესწრებოდა საერთაშორისო საუნივერსიტეტო სპორტული ფედერაციის (FISU) 31-ე მსოფლიო საზაფხულო თამაშებს. ვიზიტის განმავლობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი სი ძინპინი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილს ქ. ჩენგდუში შეხვდა, ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ლი ციანტი - ქ. პეკინში. მხარეებმა შორის წარმართა სიღრმისეული საუბარი ორმხრივი ურთიერთობების, ურთიერთხელსაყრელი საერთაშორისო და რეგიონული საკითხების შესახებ, მიღწეული იქნა ფართო კონსენსუსი. მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სტრატეგიული პარტნიორობის ხარისხში აიყვანონ ორმხრივი ურთიერთობები.

მხარეები მიიჩნევენ, რომ 1992 წლის 9 ივნისს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების დღიდან ორ ქვეყანას შორის არსებული ორმხრივი თანამშრომლობა ნაყოფიერი შედეგების მომტანი სახედასხვა მიმართულებით. საერთაშორისო და რეგიონული ვითარების ინტენსიური და კომპლექსური განვითარების ფონზე, მხარეები იზიარებენ ვალდებულებას გააფართოონ თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში, გააძლიერონ თანამშრომლობა საერთაშორისო საკითხებში, გააღრმავონ ორმხრივი ურთიერთობები და ერთობლივად უზრუნველყონ რეგიონული და გლობალური მშვიდობა, სტაბილურობა და განვითარება.

პოლიტიკური განზომილება

1.1. მხარეები ადასტურებენ პატივისცემას ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. საქართველო მტკიცედ ემხრობა ერთიანი ჩინეთის პრინციპს.

1.2. მხარეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ არსებული საერთაშორისო მდგომარეობისა და ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში, ჩინეთსა და საქართველოს შორის არსებული ორმხრივი კავშირების მნიშვნელობამ საგრძნობლად იმატა. მხარეები ერთმანეთს მიიჩნევენ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორებად, ხოლო ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას თავიანთი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად მიიჩნევენ.

1.3. საქართველოს სწამს, რომ ჩინეთის მოდერნიზაცია ახალ გზას და ახალ არჩევანს სთავაზობს კაცობრიობას მოდერნიზაციის მისაღწევად. მხარეები გამოთქვამენ მზაობას მმართველობის სფეროში არსებული გამოცდილების გაცვლის კუთხით, საერთო განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

1.4. მხარეები მზად არიან გააძლიერონ მაღალი დონის პოლიტიკური კონსულტაციები საერთო ინტერესების მქონე საკითხებზე და გაამყარონ სტრატეგიული ურთიერთობები.

1.5. მხარეები ხაზს უსვამენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, ისევე როგორც პოლიტიკურ ჯგუფებსა და პარტიებს შორის კავშირების გაფართოების აუცილებლობას, რათა მოხდეს გამოცდილების გაზიარება და ურთიერთობის დამყარება სხვადასხვა მიმარ-

თულებით.

1.6. ორმხრივი ურთიერთობების გაფართოებისა და განვითარების მიმართულებით ჩინეთისა და საქართველოს საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, მხარეები ხაზს უსვამენ ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებს შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის გაძლიერების მნიშვნელობას მრავალი მიმართულებით და სხვადასხვა დონეზე, ისევე როგორც, კომუნიკაციისა და კონსულტაციების მნიშვნელობას, შესაბამის რეგიონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ეკონომიკური განზომილება


2.1. მხარეები მიესალმებიან ბოლო წლებში ორმხრივი ვაჭრობის მდგრად ზრდას და გამოხატავენ მზაობას მის შემდგომ მატებასთან მიმართებით, მისი სტრუქტურის ოპტიმიზაციასთან, სასაქონლო ნომენკლატურის გაფართოებასთან, საქართველოდან ჩინეთის მიმართულებით საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ზრდასთან დაკავშირებით.

2.2. საქართველო მიესალმება ჩინეთის მიერ შემოთავაზებული „სარტყელისა და გზის“ ინიციატივას. მხარეებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტებს, მათ შორის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს მთავრობებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმას ხსენებული ინიციატივის ფარგლებში, რათა თანამშრომლობა მეტი ძალითა და შესაძლებლობებით წარიმართოს. მხარეები გააძლიერებენ დარგობრივი პოლიტიკის სფეროში კოორდინაციასა და განვითარებაზე ორიენტირებული გეგმების სინერჯის ხსენებული ინიციატივის ფარგლებში; გააღრმავებენ ურთიერთობასა და თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროში; მიემხრობიან კონსულტაციებისა და თანამშრომლობის პრინციპს საერთო სარგებლის მისაღებად; ხელს შეუწყობენ ღია, მწვანე და სუფთა თანამშრომლობას „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის მიზნების რეალიზებისთვის და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

2.3. მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას ხელი შეუწყონ ორმხრივ ინვესტიციებსა და ვაჭრობას; მხარეები მოახდენენ თანამშრომლობის სტიმულირებას ტრანსპორტის, კომუნიკაციების, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის, შუა დეგრადის განვითარებისა და გაძლიერების, ციფრული ტექნოლოგიების, წარმოების, სარკინიგზო ქსელების განახლებისა და განვითარების, სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის, წყლის რესურსების, გარემოს დაცვის, გაუდაბნობასთან ბრძოლის, წყლის დემინერალიზაციის, სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების, დასავლეთის სამომხმარებლო ბაზრების მიმართულებით ჩინური პროდუქციის შეუფერხებელი ექსპორტისთვის საქართველოს სატრანზიტო ინფრასტრუქტურის გააძლიერების, ტექნოლოგიური მიღწევებისა და ნოუ-ჰაუს გაზიარების, საკადრო რესურსების გადამზადების მიზნით.

2.4. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და საქართველო 2018 წლიდან იღებენ სარგებელს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებიდან, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარების სფეროში. ქვეყნები გააგრძელებენ თანამშრომლობის გაღრმავებას ხსენებული შეთანხმების ფარგლებში; ურთიერთხელსაყრელი შედეგების მისაღებად მხარს დაუჭერენ ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებს ჩინეთისა და საქართველოს საჯარო და კერძო სექტორის სუბიექტებს შორის; აქტიურად მოხდება ხსენებული შეთანხმების გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოყენება.

2.5. მხარეები გამოხატავენ მზაობას ჩინეთ-საქართველოს ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის კომისიის შემდეგ სხდომის ჩასატარებლად, რათა გაძლიერდეს ინფორმაციის გაზიარება ვაჭრობის, ინვესტიციების, ინფრასტრუქტურისა და სხვა მიმართულებით თანამშრომლობის მიზნით ხსენებული კომისიის ფორმატში, რაც გააძლიერებს ორმხრივი ურთიერთობების ხარისხსა და ეფექტურობას.



ბას.

2.6. ჩინეთი მიესალმება საქართველოს აქტიურ მონაწილეობას ჩინეთის იმპორტის საერთაშორისო გამოფენაში. ჩინეთი მხარს უჭერს ქართულ სანარმოებს ჩინეთის ელექტრონული ვაჭრობის პლატფორმებზე საქონლის რეალიზაციის მიზნით.

2.7. მხარეები გამოხატავენ მზაობას ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გასააქტიურებლად, რათა მოხდეს დარგის საერთო განვითარება. ჩინეთი მიესალმება საქართველოს მონაწილეობას ისეთ ტურისტულ გამოფენებში, როგორცაა ჩინეთის ყოველწლიური საერთაშორისო ტურისტული ბაზარი.

2.8. ჩინეთი მხარს უჭერს და ხაზს უსვამს თბილისში აბრეშუმის გზის მე-4 ფორუმის მნიშვნელობას, რომლის თემა გახლავთ „დღევანდელი დაკავშირებულია, ხვალისდელი მდგრადობისთვის“ და რომელიც 2023 წლის 26-27 ოქტომბერს გაიმართება ქ. თბილისში.

2.9. ჩინეთსა და ევროპის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ქვეყნებს შორის თანამშრომლობას საქართველო მიიჩნევს პრაგმატულ, ღია და ურთიერთსასარგებლო რეგიონალური თანამშრომლობის პლატფორმად. ჩინეთი მიესალმება საქართველოს ინტერესს ამ თანამშრომლობის მექანიზმში ჩართვას დამკვირვებლის რანგში.

საერთაშორისო და კულტურული ურთიერთობის განზომილება

3.1. ახალ პირობებში ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების საჭიროების გათვალისწინებით, მხარეები გამოთქვამენ მზაობას აქტიურად აწარმოონ სამეცნიერო და ტექნოლოგიური თანამშრომლობა, განახლონ შეთანხმება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც 1993 წელს იქნა ხელმოწერილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს შორის.

3.2. ხალხთა შორის კავშირებისა და კულტურული ურთიერთობების სფეროში მეგობრული დამოკიდებულებისა და თანამშრომლობის დიდი პოტენციალის გათვალისწინებით, მხარეები თანხმდებიან გააძლიერონ კულტურული თანამშრომლობა. ნახალისდება ორი ქვეყნის მოქალაქეებს შორის ვიზიტები, გაძლიერდება თანამშრომლობა ტურიზმის, ჯანდაცვის, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის მიმართულებით. ამასთანავე, გაძლიერდება ურთიერთობები კინემატოგრაფიის, პრესისა და საჯარო დიპლომატიის სფეროებში.

3.3. მხარეები შეისწავლიან ჩინეთისა და საქართველოს კულტურის წლების აღნიშვნის შესაძლებლობას და გააგრძელებენ კონსულტაციებს კულტურული ცენტრების დასაარსებლად, რასაც შესაბამისი ხელშეწყობა ექნება.

3.4. მხარეები გააძლიერებენ თანამშრომლობას მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სფეროებში. განხორციელდება პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამები, გაძლიერდება თანამშრომლობა მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების კომერციალიზაციის სფეროში, განხორციელდება ერთობლივი პროექტები.

3.5. მხარეები ხელს შეუწყობენ უნივერსიტეტებს ერთობლივი სასწავლო პროგრამების მსგავსი პრაქტიკული თანამშრომლობის განხორციელებას; წახალისდება უნივერსიტეტების მიერ მაღალი ხარისხის ციფრული საგანმანათლებლო რესურსების სრული გამოყენება და მათი გათვალისწინება თანამშრომლობის ონლაინ და ოფლაინ ფორმატებში. მხარეები ხელს შეუწყობენ სტუდენტების ურთიერთგაცვლას და ერთობლივ განვითარებას, სამთავრობო სასტიპენდიო ინსტრუმენტებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით.

3.6. მხარეები მნიშვნელობას ანიჭებენ ენების შესწავლის მიზნით გაცვლისა და თანამშრომლობის პროგრამებს, წახალისებენ ორივე ქვეყნის სკოლებს ჩინური და ქართული ენების შესწავლისკენ; მზაობას გამოთქვამენ ენის პედაგოგების გაცვლითი პროგრამების განხორციელებისა და გადაზიდვისთვის; მხარს უჭერენ კონფუციის ინსტიტუტების (საკლასო ოთახების) განვითარებას.

საერთაშორისო განზომილება

4.1. მხარეები გააძლიერებენ კოორდინაციას და თანამშრომლობას რეგიონალურ და საერთაშორისო საქმეებში, ჭეშმარიტი მულტილატერალიზმის ერთობლივ მხარდაჭერას; მტკიცედ დაიცავენ გაეროშია და მსოფლიო ენების ორგანიზაციის ორგანიზაციის შექმნილ საერთაშორისო სისტემას, საერთაშორისო სამართალზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს, გაეროს წესდების მიზნებსა და პრინციპებზე დამყარებულ საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველზე ძირეულ ნორმებს; წახალისებენ ახალი სახის საერთაშორისო ურთიერთობების დანერგვას.

4.2. მხარეები მხარს უჭერენ კაცობრიობის საერთო ღირებულებების - მშვიდობის, განვითარების, თანამშრომლობის, სამართლიანობის, დემოკრატიისა და თავისუფლების ხელშეწყობას; პატივს სცემენ ყველა ხალხის დამოუკიდებელ არჩევანს მათი ეროვნული შესაძლებლობების შესაბამისი განვითარების გზის განსაზღვრაში და ხელს უწყობენ კაცობრიობის საერთო მომავლის მქონე საზოგადოების შექმნას.

4.3. საქართველო მხარს უჭერს ჩინეთის მიერ შემოთავაზებულ გლობალურ განვითარების ინიციატივას და მზადაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ხსენებული ინიციატივის ფარგლებში წარმოებულ თანამშრომლობაში, რათა დაჩქარდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2030 წლისთვის განვირეო მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელება.

4.4. საქართველო მხარს უჭერს ჩინეთის მიერ შემოთავაზებულ გლობალურ უსაფრთხოების ინიციატივას. მხარეებს სურთ ურთიერთობისა და თანამშრომლობის გაძლიერება ხსენებული ინიციატივის ფარგლებში და ერთობლივ ძალისხმევას ახორციელებენ უშიშროებისა და სტაბილურობის საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოსთვის, რეგიონში ქვეყნების საერთო განვითარების ხელშეწყობისა და დაცვისთვის.

4.5. საქართველო მხარს უჭერს ჩინეთის მიერ შემოთავაზებულ გლობალურ ცივილიზაციის ინიციატივას. მხარეები აქტიურად ითანამშრომლებენ ხსენებული ინიციატივის განხორციელებლად.

რეინჯერთა მსოფლიო დღე აღინიშნა

31 ივლისი რეინჯერთა მსოფლიო დღეა! გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით, თბილისის ეროვნულ პარკში, საბადურის ტყის მონაკვეთზე, რეინჯერთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. გასული წლის მსგავსად, წელსაც გამოვლინდნენ წლის რეინჯერები, რომელნიც უწყების ხელმძღვანელებმა დააჯილდოვეს. დედოფლისწყაროდან წლის რეინჯერის ნოდება მიენიჭა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების რეინჯერის ზურაბ უძილაურსა და ჭაჭუნას ალკვეთილის ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების რეინჯერის ნოდარ პოპიაშვილს. მათ ასევე 500 ლარიანი ვაუჩერი გადაეცათ.

რეინჯერთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, წელს, ტრადიციულად, დაცული ტერიტორიების ყველა ადმინისტრაციაში „წლის რეინჯერი“ გამოვლინდა, რომელთაც სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. ღონისძიებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები ნინო თანდელაშვილი და კახა კაკაბაძე, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე, დავით იოსებაშვილი, საქართველოს მთავრობის, დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ზურაბ უძილაური (ვაშლოვანის ნაკრძალის რეინჯერი): „ზავშობიდან მიყვარდა ბუნება. 1996 წლიდან ჩემს ოჯახს ფერმა ჰქონდა, ყოველთვის დავყვებოდი და სამეურნეო საქმეებში ვეხმარებოდი. ისე გავიზარდე, მიჩვეული ვიყავი ამ რეჟიმს. ძალიან მიზიდავს ეს ყველაფერი. ბედნიერი ვარ, რომ ცხოვრებაში ასეთი არჩევანი გავაკეთე. ბავშვობიდანვე მინდოდა ან ექიმი გამოვსულიყავი, ან ფორმა მცემოდა. სულ ერთი იყო, როგორი ფორმა იქნებოდა, პოლიციელის, ჯარისკაცის, მენეჯერის, თუ სხვა... ჩემთვის მთავარი იყო სამშობლოსთვის მემსახურა. მიხარია, რომ ეს ოცნება ავისრულდა. 2016

წლიდან მოვედი ვაშლოვანის ნაკრძალში, ამჟამად მიჯნისყურეში ვმუშაობ, ეს ყველაზე უნიკალური ადგილია ვაშლოვანში. რაც შეეხება დაჯილდოვების ცერემონიას, ჩემთვის დიდი პატივია, როცა ამდენ ადამიანში გამომარჩიეს და დამასახელებს, ალბათ ვიმსახურებდი ხელმძღვანელობის შეფასებით ამ ჯილდოს. მართლა არ მოველოდი, მაღლობას ვუხდით ყველას, ვინც წარმადგინა და დამასახელა. ეს ჯილდო ჩემთვის ადმინისტრაციის მხრიდან გამომჩენილ ყურადღებას და მხარდაჭერას ნიშნავს. ვეცდები, მომავალშიც დიდი პასუხისმგებლობით შევასრულო რეინჯერის ფუნქცია-მოვალეობები. ჩვენი სამუშაო პირობები თითქმის ყოველწლიურად უმჯობესდება, კმაყოფილი ვარ ხელშეწყობით“.

ნოდარ პოპიაშვილი (ჭაჭუნას ალკვეთილის რეინჯერი): „12 წელია ჭაჭუნაზე ვმუშაობ, საინტერესო სამსახურია და ძალიან მიყვარს ჩემი საქმე. ვიცავთ ბუნებას, ვცდილობ, რეინჯერის მოვალეობა კეთილსინდისიერად შევასრულო. მაღლობელი ვარ, რომ გამომარჩიეს და დამაჯილდოვეს, ეს დიდი პასუხისმგებლობაა ჩემთვის. როცა მუშაობა დაიწყო, დაბალი ხელფასი იყო. ახლა ბევრად გაზარდილია ხელფასი და ყურადღება რეინჯერების მიმართ, ხელშეწყობაც გვაქვს. რატომ უნდა, დაცულ ტერიტორიებზე მუშაობას თავისი სირთულეებიც აქვს. ჭაჭუნა ისეთი ლანდშაფტია, რთული სამთარი და ცხელი ზაფხული იცის, ამიტომ რთულ კლიმატურ პირობებში გვინევს მუშაობა, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ვახორციელებთ მეთვალყურეობას. ე.წ. პიკაპის ტიპის ავტომობილით დავდივართ, სამ-სამი რეინჯერი ვმორიგეობთ ხოლმე. ბრაკონიერების შემთხვევები გამოგვივლინდა, მაგრამ საზღვრის დარღვევის მცდელობები არ დამიფიქსირებია“.

კაკაბაძე ტატილოშვილი (ჭაჭუნას ალკვეთილის ადმინისტრაციის უფროსი): „წლების წინ დაბალი ანაზღაურება იყო და გვიჭირდა რეინჯერების შენარჩუნება, ახლა 900 ლარამდე იღებენ და 6



დღიან ცვლაში მორიგეობენ. შედარებაც არ არის ისეთი ხელშეწყობა აქვთ, ამჟამად კმაყოფილები არიან. ვცდილობთ ჩვენი საქმე კარგად ვაკეთოთ. დღესაც იყვნენ ჩვენთან ჩამოსული მკვლევარები და უცხოელებიც ხშირად აღინიშნავენ, რომ ასეთი მოვლილი ტერიტორია იშვიათად უნახავთ. რაც შეეხება დავილდოვებულ რეინჯერს, ის დიდი ხნის მუშაკია, კარგი პიროვნებაა, საუკეთესო წესრიგში დამცველი და კარგი თვისებების მქონე ადამიანია. შემძლია ვთქვა, რომ თავისი საქმის პროფესიონალია. სხვა სამუშაოებსაც სიამოვნებით ასრულებს, რაც მის მოვალეობაში არ შედის, მაგრამ ტერიტორიაზე რაიმე საჭიროება წარმოიქმნება. თითქმის სულ ძველი რეინჯერები გვყავს, რომელიც დიდი ხანია ამ საქმეში არიან“.

ცერემონიაზე გაიმართა რეინჯერების მიერ გადაღებული ფოტოების გამოფენაც. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ ხელმძღვანელი პირებიც:

„ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია დაცული ტერიტორიების გაფართოება და ახალი დაცული ტერიტორიების შექმნა. ამ მიმართულებით საკმაოდ მნიშვნელოვანი სამუშაოები გავწევით. დღეისთვის, დაცული ტერიტორიების ფართობი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 13%-ს შეადგენს. ამ უნიკალურ ბიომრავალფეროვნებას სჭირდება დაცვა, მოვლა, მოფრთხილება, პატრონობა. რეინჯერთა პასუხისმგებლობა ამ საქმეში არის ძალიან დიდი; ისინი ასრულებენ ძალიან მნიშვნელოვან სამუშაოს ბუნების დაცვის საქმეში; მათი წვლილი არის ფასდაუდებელი. რეინჯერის დღის აღნიშვნის ფარგლებში, ყველა გამორჩეული რეინჯერი, რომელიც თავის საქმიანობაში არის წარმატებული დავაჯილდოვეთ; გავიხსენეთ ყველა ის რეინჯერი, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა და მათ ხსოვნას პატივი მივაგებთ. ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება არის გმირობის ტოლფასი. სახელმწიფო ზრუნავს, რომ რეინჯერებს ჰქონდეთ როგორც სათანადო სამუშაო პირობები, ასევე სოცია-

ლური გარანტიები, იმისთვის, რომ მათ ღირსეულად შეასრულონ საკუთარი საქმე“, - აღნიშნა ცერემონიაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნინო თანდელაშვილმა.

გასულ წელს რეინჯერთა დღეზე დედოფლისწყაროდან დაჯილდოვდნენ უზუცესი რეინჯერები, ვაშლოვანის ნაკრძალიდან ვაჟა ჩერქეზიშვილი, ხოლო ჭაჭუნას ალკვეთილიდან შენგელი მებრიშვილი, ასევე ვაშლოვანის ნაკრძალის რეინჯერი ირაკლი ზალდასტანიშვილი.

ჩვენი ქვეყნის დაცულ ტერიტორიებს, საქართველოს უნიკალურ ბუნებრივ საგანძურს, 24 ტერიტორიული ადმინისტრაციაში გადანაწილებული 400-ზე მეტი რეინჯერი იცავს. მათ საქმიანობაში შედის ბრაკონიერობის ფაქტის აღკვეთა, ბუნებრივ და დაუდევრობით გამოწვეულ ხანძრებთან გამკლავება, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, ვიზიტორთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა და მათი ინფორმირება.


ღონისძიებაზე გაიხსენეს და პატივი მიაგეს ყველა იმ რეინჯერს, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა. მათ შორის ასეთი მსხვერპლი დაფიქსირდა დედოფლისწყაროშიც. 2011 წლის 23 ივლისს ვაშლოვანის ნაკრძალის რეინჯერი **დურსუნ სურმანიძე**, ნაკრძალში გაჩენილი ხანძრის ქრობის დროს 60 მეტრი სიმალიდან კლდეში გადავარდა და მძიმე ტრავმების გამო ადგილზე გარდაიცვალა. სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპულ რეინჯერს მაშინდელმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ღირსების ორდენი მიანიჭა.

შეგახსენებთ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო რეინჯერთა პროფესიულ დღეს 2017 წლიდან აღინიშნავს. რეინჯერთა პროფესიული დღე რეინჯერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დანესდა და მსოფლიოში პირველად 2007 წელს აღინიშნა.

ილია მარტყოფლიშვილი



სარაფიშობა სამრეკლოში



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილეებთან და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად სოფელ სამრეკლოს სერაფიმ საროველის სახელობის ტაძარში საზეიმო წირვას

დაესწრო. წმ. სერაფიმ საროველის ხსენების დღესთან დაკავშირებით ტაძარში წირვა წალკელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა (კაცია) ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის სასულიერო პირებთან ერთად აღავლინა.

ქედლების წარმატება ქიუდოში

გასულ კვირას თელავში ტრადიციული ტურნირი გაიმართა ჭიდაობა-ძიუდოში, სადაც დედოფლისწყაროდან ქედების ზონის მოჭიდავეებიც ასპარეზობდნენ. ტურნირი სოფელ ვარდისუბანში ჩატარდა და მასში კახეთის ყველა მუნიციპალიტეტიდან ძიუდოს სპორტსმენები მონაწილეობდნენ. როგორც ყოველთვის, ჩვენი მოჭიდავეების ორთაბრძოლები ამჯერადაც წარმატებული იყო. გაზეთ „მირაქის“ ინფორმაციით, დედოფლისწყაროელებმა ჯამში 4 პირველი, ერთი მეორე და სამი მე-სამე ადგილი მოიპოვეს. შედეგებით კმაყოფილია მათი მწვრთნელი კახა ნიკოლაური.

პირველი ადგილი: **ლუკა ლაზვიაშვილი, ლევან ვეშაგური, ლუკა ბურდული, ნიკა მუშტარაული**;

მეორე ადგილი: **ლუკა ძამაშვილი**;

მესამე ადგილი: **ნიკა ბუთხუზი, ტატო ზაქაიძე, გიგი ქეთელაური**.

კახა ნიკაშვილი (მწვრთნელი): „კმაყოფილი ვარ ჩემი ბიჭების გამოსვლით, საუკეთესო სპორტსმენებით არ ვიყავით წარმოდგენილები, მაგრამ თელავში ძლიერი შემადგენლობით წავედით. მართლაც თავდაუზოგავად იბრძოლეს და რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთეს. ჩვენს მონაწილეებს და მათ შესაძლებლობებს რაც შეეხება, იქ ახალბედა მეტოქეები არ ყოფილან, საკმაოდ გამოცდილ სპორტსმენებთან დაპირისპირება გვინევდა და საბოლოოდ ძალზე კარგი ბრძოლები აჩვენეს დედოფლისწყაროელებმა ძიუდოსტებმა. შეიძლება თამამად ითქვას, ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს მათ. იმავე დღეს სოფელ ვარდისუბანში კვირიკობა აღინიშნებოდა და დილით წირვა აღევლინა,



ამიტომ ჩატარდა ეს ჩემპიონატი და სახალხო დღესასწაულიც მიეძღვნა. როგორც ვიცი, საუკუნეების მანძილზე აღინიშნება ეს დღე და როგორც წესი, ჭიდაობის ტურნირიც იმართება ხოლმე. სწორედ ამიტომ მიგვიწვიეს ჩვენც“.

გიორგი ჩიტიშვილი

მინი უეხბუხთი ქვემო ქედში - გაიმარჯვა ახილოსკალო

30 ივლისის სოფელ ქვემო ქედში ჩატარდა ლევან ნათათრალაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი მინი ფეხბურთში მოყვარულ გუნდებს შორის. ტურნირზე მონაწილეობას იღებდა სოფლების - ქვემო ქედის, ფიროსმანის, საბათლოს, ზემო ქედის, სამთაწყაროსა და არხილოსკალოს გუნდები.

საუკეთესო მეკარედ დასახელდა **დავით ფუტყარაძე**, ფეხბურთელად - **გაქა ნათელაშვილი**, საუკეთესო გოლის ავტორად - **საბა**

ბურთზე არასოდეს მივიღია. ბავშვობიდან ვთამაშობდი და ყოველთვის ჩემით ვცდილობდი განვითარებას. შემდეგ წლის ასაკიდან სპორტზე დავდივარ, თუმცა ძირითადად ჭიდაობაზე. მამაჩემმა ჭიდაობაზე შემეყვანა და დღემდე ძიუდოში ვაგრძელებ.“

ქვემო ქედელი ლევან ნათათრალაშვილი 2007 წელს სამხედრო სავალდებულო სამსახურში ყოფნისას უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა. წვრთნების დროს შემთხვევით გავარდნილი ტყვია მოხვდა და ადგილზე გარდაიცვალა.



აფციაშვილი, ბომბარდირად - **სანდრო კობახიძე**, ვეტერანად - **ფეხბურთელი ტარიელ შვინიძე**.

ტურნირის გამარჯვებული გახდა არხილოსკალოს გუნდი, რომელსაც ტურნირის მთავარი პრიზი - ჭედილა გადაეცა. გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდა სპეციალური თასით, ასევე პრიზებით დაჯილდოვდნენ საუკეთესო ფეხბურთელები. ტურნირს დედოფლისწყაროს მერის მოადგილე მალხაზ მარაბიშვილი ესწრებოდა, რომელმაც გამარჯვებულ სპორტსმენებს საუკეთესო შედეგი მიულოცა და სიგელებით დააჯილდოვა.

გაქა ნათელაშვილი: „ფეხ-

როგორც ტურნირის ორგანიზატორებმა „შირაქს“ უთხრეს, ლევანს ბავშვობიდან ძალიან უყვარდა ფეხბურთი, ჯარის დასრულების შემდეგ კი ის ფეხბურთელობაზე ოცნებობდა და გეგმებს აწყობდა.

„ლევან ნათათრალაშვილი მეგობრული და კარგი ახალგაზრდა იყო, გამოირჩეოდა ზრდილობით, ქცევებით. კარგად ახლოს ვაგრძობთ ფულს და პრობლემებს ვაგროვებთ თურქეთში მკურნალობას მოხმარდება. გაზეთი „შირაქი“ საქველმოქმედო აქციის დეტალებით დაინტერესდა და ორგანიზატორებს ესაუბრა: „ნათელაშვილი“

ნათია გიგაური: „გასულ წელს ჩამოვყალიბეთ ორგანიზაცია სახელად „ქეარდი“, რომლის სახელწოდებაც სამი სოფლის ინიციატივის გაერთიანებით მივიღეთ. ზოგადად, ჩემი ჰობია გაჭირვებული ადამიანების დახმარება. ყოველ ახალ წელს ვაგროვებთ ფულს და პრობლემებით ვეხმარებით ქედის გაჭირვებულ მოსახლეობას. ამ ყველაფრის ორგანიზატორი **ნანანო შუბაშვილი**ა, მე კი ესპანეთში ვცხოვრობ და ფიზიკურად აქ არ ვარ, მაგრამ ვცდილობ ფინანსურად და ონლაინ აქტივობებით დავეხმარო. შარშან ზაფხულს, დავით ჭიკაიძემ და მე, საკუთარი ფინანსებით, (500 ლარის ოდენობის), მოვამზადეთ კოქტეილები და საჩუქრად დავურიგეთ დისკოთეკაზე მოსულ სოფლის მოსახლეობას. წელს კი დიმიტრი უძილაურის ინიციატივით ეს იდეა საქველმოქმედო საღამოდ ვაქციეთ, რადგან სოციალურ ქსელში სალომეს დედის პოსტებს ხშირად ვხვდებით, სადაც ყოველდღიურად წერს, თუ როგორ უჭირს და ვერ მკურნალობს შვილს. ამ ყველაფერმა ჩვენზე ძალიან იმოქმედა და გადავწყვიტეთ, წელიწადში შეგვეტანა ამ საქმეში.

შედეგით და აქტიურობით ძალიან კმაყოფილი ვარ. ძირითადად ზემო ქედის მოახლეობა იყო მოსული, მაგრამ ასევე

„რინგის რაინდები“ დედოფლისწყაროში



1 აგვისტოს, დედოფლისწყაროში, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ეზოში, ტრადიციული ასპარეზობა კიკ-ბოქსინგში - „რინგის რაინდები“ გაიმართა. ჩემპიონატში თბილისის, რუსთავის, გორის, გურჯაანის, თიანეთის, სიღნაღის, დუშეთისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

გამოვლინდა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებსა და ნონით კატეგორიებში გამარჯვებულები:

ლევან ფოფხაძე - თბილისი, გიორგი ბაღდასარიანი - დედოფლისწყარო, მიხეილ ჯიმშიტაშვილი - თიანეთი, დათა გელაშვილი - გორი; სოსო ჯავახიშვილი - დედოფლისწყარო, ლაშა ჭუბაბრია

- დედოფლისწყარო, ლუკა პირველი - რუსთავი, ნიკა თარალაშვილი - დედოფლისწყარო, ბექან სონღულაშვილი - გურჯაანი, ლაშა-გიორგი ვარდიანი - რუსთავი, ლუკა ტუმასიანი - დედოფლისწყარო, ნიკა მთიულიშვილი - გორი, გიორგი გულაშვილი - დედოფლისწყარო, გიორგი გოგაშვილი - რუსთავი, ვალერი რამაზანაშვილი - დედოფლისწყარო, ილია ხატიაშვილი - დედოფლისწყარო, ლუკა ჯიქია - რუსთავი.

ლონისძიებს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მერის მოადგილე გელა სამუკაშვილი, საკრებულოს წევრები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



საქველმოქმედო კამპანია ზემო ქედში

ზემო ქედში ახალგაზრდული საქველმოქმედო დისკოთეკა გაიმართა. საღამოს ორგანიზატორი იყო გასულ წელს ამავე ზონაში დაფუძნებული ორგანიზაცია „ქეარდი“. ახალგაზრდულმა ჯგუფმა ასეთი გასართობი აქტივობა უკვე მეორედ გამართა, თუმცა ამჯერად მიზანი ბევრად კეთილშობილური იყო. 11 წლის სალომე მელიქიშვილის დასახმარებლად მათ 2000 ლარამდე მოაგროვეს, რისთვისაც საკუთარი ხელით დამზადებული პროდუქციის რეალიზება დასჭირდა.

სალომეს დიაგნოზია: გენერალიზებული იდიოპათიური ეპილეფსია და ეპილეფსიის სინდრომები - აბსანს ეპილეფსია. პერიოდულად საჭიროებს ელექტროენცეფალოგრამის გადაღებას, რომელიც 1500 ლარი ჯდება. მოზარდის შესახებ „შირაქი“ ორიოდ თვის წინ წერდა.

ორგანიზატორები დისკოთეკაზე თავადვე ამზადებდნენ სხვადასხვა სახის



კოქტეილებს, რასაც სტუმრებს სთავაზობდნენ. იქვე განთავსებული იყო შესანიშნავი ყუთი და საბანკო ანგარიშები, შემოსული თანხა კი მოზარდის თურქეთში მკურნალობას მოხმარდება. გაზეთი „შირაქი“ საქველმოქმედო აქციის დეტალებით დაინტერესდა და ორგანიზატორებს ესაუბრა:

ნათია გიგაური: „გასულ წელს ჩამოვყალიბეთ ორგანიზაცია სახელად „ქეარდი“, რომლის სახელწოდებაც სამი სოფლის ინიციატივის გაერთიანებით მივიღეთ. ზოგადად, ჩემი ჰობია გაჭირვებული ადამიანების დახმარება. ყოველ ახალ წელს ვაგროვებთ ფულს და პრობლემებით ვეხმარებით ქედის გაჭირვებულ მოსახლეობას. ამ ყველაფრის ორგანიზატორი **ნანანო შუბაშვილი**ა, მე კი ესპანეთში ვცხოვრობ და ფიზიკურად აქ არ ვარ, მაგრამ ვცდილობ ფინანსურად და ონლაინ აქტივობებით დავეხმარო. შარშან ზაფხულს, დავით ჭიკაიძემ და მე, საკუთარი ფინანსებით, (500 ლარის ოდენობის), მოვამზადეთ კოქტეილები და საჩუქრად დავურიგეთ დისკოთეკაზე მოსულ სოფლის მოსახლეობას. წელს კი დიმიტრი უძილაურის ინიციატივით ეს იდეა საქველმოქმედო საღამოდ ვაქციეთ, რადგან სოციალურ ქსელში სალომეს დედის პოსტებს ხშირად ვხვდებით, სადაც ყოველდღიურად წერს, თუ როგორ უჭირს და ვერ მკურნალობს შვილს. ამ ყველაფერმა ჩვენზე ძალიან იმოქმედა და გადავწყვიტეთ, წელიწადში შეგვეტანა ამ საქმეში.

შედეგით და აქტიურობით ძალიან კმაყოფილი ვარ. ძირითადად ზემო ქედის მოახლეობა იყო მოსული, მაგრამ ასევე

უფლის ნებაა. სამომავლოდ კიდევ გავაგრძელებთ აქტივობებს. საგარეოდ, საახალწლო საქველმოქმედო აქციები ისევე გვექნება“.

ქატი კობახიძე (მოზარდის დედა):

„მადლობელი ვარ საღამოს ორგანიზატორების და მონაწილეების. ამ მაგარი ადამიანების მეშვეობით ერთი ვიზიტის თანხა შეგროვდა. ლონისძიებზე მისუთითოეული ადამიანის დახმარებით ჩვენ შევძლებთ, წავიდეთ სამსუნში. მადლობელი ვარ ყველასი, მადლობას ვუბნები ნაცნობსაც და უცნობსაც. ჩემთვის ისინი გმირები არიან, რადგან სასწაული მოახდინეს და გვერდით დაგვიდგნენ. ბედნიერი ვარ, როცა ჩემი სოფელი ასეთ თანადგომას გამოხატავს ჩემი შვილის მიმართ. მადლიერი ვარ ასევე დედოფლისწყაროელი ჟურნალისტების, რომელთა ყურადღებას ამუღმევად ვგრძნობ“.

გვერდი მოამზადა ილია მარტყოფიშვილმა



ქართულ-ინგუზური ურთიერთობები და ძმობის სასაფლაო

მეორე მსოფლიო ომის დროს ინგუზების შუა აზიაში გადასახლებისა და მათ სახლებში ქართველების ჩასახლების შესახებ ყველას სმენია. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ინგუზები შუა აზიიდან დაბრუნდნენ, მაგრამ უსახლკაროდ დარჩნენ - თავიანთი სახლებიდან ქართველების გამოყრა კი აუკრძალეს, მაგრამ არც სანაცვლოდ მისცეს თავშესაფარი.

ქართველებმა კი, რომელთაც 13 წელიწადი იცხოვრეს ინგუზების სახლებში და უკვე დოვლათიც შექმნეს, აი, რა ჩაიდინეს: ინგუზების დაბრუნების შეტყობისთანავე, დედაბუდიანად დაიწყეს მათი სახლების დაცლა და საქართველოში დაბრუნების სამზადისი. თავიანთი დოვლათიდან კი ინგუზებს ბევრი რამ დაუტოვეს, ეს ყველაფერი მათ სახლებში ცხოვრებით შევქმენით, ამიტომ მათაც ეკუთვნით: ეზოში ფრინველი დატოვეს, ბოსელში კი პირუტყვი. ამასაც არ დასჯერდნენ, ინგუზებს ქვაბებში ცხელი სადილი დაახვედრეს, ადამიანურ სადილს მონატრებული იქნებიანო, და არა მარტო ამიტომ, ქართველებსა და ინგუზებს ხომ ძმობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვთ. ქართველებს კი ინგუზეთში კიდევ დარჩათ ერთი რამ: საფლავები. მაგალითად, ქართველთა სასაფლაო სოფელ კილიში, რომელსაც ინგუზები თავიანთი წინაპრების სასაფლაოსავით უვლიან. არც ისე დიდი ხნის წინ უსასნაულიც ჩაიდინეს - მშენებლებს სასაფლაოსგან მოშორებით გადაატანინეს გზის მასშტაბური პროექტი, ვერ დაუშვებთ, ამ გზამ ქართველთა საფლავებზე გაიაროს და სიმშვიდე დაურღვიოსო. ისიც იცოდეთ, რომ ამ სასაფლაოს მოსახლეობლად ქართველებიც ჩაიდან საქართველოდან. ჩვენს დროში, ვფიქრობ, ესეც პატარა სასნაულია - არ გა-



მწყდარა ქართულ-ინგუზური ძმობა. მაგალითად, ახლახან დედოფლისწყაროელი გელა თეთრაული ნავიდა კილის სასაფლაოზე, წინაპართა შესანდობარი თქვა და ისევ უკან გამობრუნდა. აი, ასე, „უბრალოდ“. თუმცა ღმერთმა ხომ იცის, რამხელა სიყვარულია ამ უბრალოებაში, - მოგვწერა ხევსურეთიდან მზია არაბულმა და თან ფოტოებიც გამოგვიგზავნა, სადაც სასაფლაოს ამორებული გზა და ინგუზეთის ქართველთა სასაფლაოა ასახული. ამ საკითხებზე **გელა თეთრაული** ვესაუბრეთ:

- **ბატონო გელა, მხოლოდ იმიტომ ნახვედით ინგუზეთში, რომ იქ ქართველთა სასაფლაო მოგენახულებინათ?**

- ინგუზეთში ჩემი ოჯახიდან არავინ არის დაკრძალული. ჩემი ბაბუა, ჯურხა, რომელიც ინგუზეთში ოჯახით 1944 წელს გადა-

სახლეს, 1957 წელს დაბრუნდა საქართველოში. მან ინგუზეთში დიდი სახელი დატოვა. ისეთი, რომ ინგუზებიც სოფელს „ჯურხას სოფელსაც“ ეძახდნენ. ქართველებიც გადასახლებული იყვნენ, მაგრამ მათთვის ინგუზეთში ცხოვრება უფრო ადვილი იყო, ვიდრე ინგუზებისთვის აზიაში. ინგუზეთი ძალიან ჰგავს ჩემი წინაპრების სოფელ არხოტს, მაგრამ არხოტზე გაცილებით მდიდარია, თუნდაც სათიბები ბევრად ახლოა, ვიდრე ხევსურეთში.

- **ანუ მშრომელი ქართველობა დოვლათსაც დააგროვებდა.**

- ვინც იშრომა, 12-13 წლის განმავლობაში ინგუზეთში მართლაც დააგროვა დოვლათი. ინგუზთა სახლებსაც ხელი შეეწყო და სამომავლოდ მოაწყვეს. თუმცა, როდესაც ინგუზები დაბრუნდნენ, ყველაფერი ხელუხლებლად გადასცეს, რაც სხვა ხალხს არ

გაუკეთებია. მაგალითად, ოსებს არ დაუცლიათ ინგუზებისათვის სახლები. ბრძანება იყო ასეთი, დაბრუნებულ ინგუზს არ ჰქონდა უფლება მის სახლში შესახლებული კაცი გამოეგდო. ქართველობამ კი ეს არ იკადრა, რომ უკან დაბრუნებული კაცისთვის მისი ნაშრომი ნაერთმია და შორიდან ცქერით გაენამებინა...

მართალია, ინგუზეთში ჩემი პირდაპირი წინაპარი არ არის დაკრძალული, მაგრამ ქართველები ხომ არიან! გარდაცვლილი მამაჩემის ინგუზებისადმი სიყვარული მაკავშირებს ინგუზეთთან. მამა ინგუზეთში იყო დაბადებული და იქ უამრავი მეგობარი ჰყავდა. მამაჩემმა ეს მეგობრობა მეც მიანდერდა და ნავედი მათთან და საფლავების სანახავად. ჭიქა ნაფუქციე ჩვენს გარდაცვლილებს და ნამოვედი. მალე უფრო ბევრი ვაპირებთ წასვლას. ჯერ დავუცდით, რადგან რუსეთს ომი აქვს. ის სასაფლაო ქართულ-ინგუზური ძმობის ნათელი სახეა. წლების წინ, როდესაც ინგუზეთში გამავალ გზას ამ სასაფლაოზე გადავლა უწევდა, ამ ხალხმა პროექტი შეაჩერა.

ინჟინერებს უთხრეს, სასაფლაოს გვერდი აუარეთ და გზა ისე გაატარეთო. მშენებლებმა პროექტი შეცვალეს და გზა სასაფლაოს შემოვლით გაიყვანეს. სოფელში სიყვარულით უვლიან სასაფლაოს, როდესაც ბალახი ამოინვერება, მაშინვე ცელავენ, რომ იქაურობას მოუვლელობის კვალი არ აჩნდეს. არადა, საფლავები თითქმის ნაშლილია, სამაგიეროდ, არის მემორიალი, რომელიც ერთად ვაკეთებთ და ზედ იმ ქართველთა გვარები ამოვტვიფრეთ, ვინც ინგუზეთშია დაკრძალული. მჯერა, რომ მათი სულები ზემოდან დაგვყურებენ, ჩვენც და ინგუზებსაც გვლოცავენ ჩვენი ძმობისთვის.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში სეზონი დაიხურა

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის 171-ე სეზონი 20 ივლისს დაიხურა ფალიაშვილის ოპერით „აბესალომ და ეთერი“.

1919 წლის 21 თებერვალს, ავტორის დირიჟორობით, გაიმართა ამ ოპერის პრემიერა. ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია. ფალიაშვილი პირველი ქართველი კომპოზიტორი იყო, რომელმაც თავის ნაწარმოებებში განასახიერა ქართველი ხალხის სულიერი ძალა და მუსიკალური გენია. თავისი შემოქმედება ფალიაშვილმა ააგო ქართული ხალხური მუსიკის კულტურის მხატვრული განზოგადებისა და მსოფლიო კლასიკური მუსიკის საუკეთესო ტრადიციებთან მისი სინთეზირების საფუძველზე. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთი მწვერვალია. ფალიაშვილის ოპერებზე ქართველ მომღერალთა თაობები აღიზარდა. მის სახელს ატარებს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი.

2016 წლის 30 იანვარს, უდიდესი ქართველი მეცენატის მიერ რესტავრირებული ოპერისა და ბალეტის თეატრი „აბესალომ და ეთერის“ პრემიერით გაიხსნა დამდგმელი რეჟისორი: გიზო ჟორდანიას, დირიჟორი: ზაზა აზმაიფარაშვილი, სცენოგრაფი: გოგი-ალექსი

მესხიშვილი. მთავარ პარტიებს მღეროდნენ: აბესალომი - თემურ გუგუშვილი, ეთერი - თამარ ივერი, მურმანი - ლადო ათანელი. მიმდინარე სეზონის დახურვაზე აბესალომის პარტია შეასრულა ახალგაზრდა სოლისტმა - არმაზ დარაშვილმა, ეთერის პარტია კი - ირინა თაბორიძემ, მურმანის-სულხან გველესიანმა, აბიო მეფე - ლევან მაკარიძემ, ნათელა - ელენე ჯანჯალიამ, მარიხი-ია იოსებიძემ, ნაანა - ირინა შერაზადიშვილმა და ა.შ. დამდგმელი რეჟისორის გიზო ჟორდანიას, ქორეოგრაფი - ილიკო სუხიშვილი. მაყურებელი ხანგრძლივი ოვაციით ავიღდოვებდა სპექტაკლში მონაწილე მომღერლებს.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ,

სამხატვრო ხელმძღვანელმა ბადი მაისურაძემ მადლობა გადაუხადა 171-ე სეზონში გამართულ სპექტაკლში მონაწილე მომღერლებს, დირიჟორებს, ორკესტრს, მთელ გუნდს და აღნიშნა, რომ „ვინც სცენაზე არ დგას, მათი შრომა დასაფასებელია. ოპერაში სულ 700-ზე მეტი თანამშრომელი გყავს და მათ გარეშე ვერც ერთი წარმოდგენა ვერ გაიმართებოდა. მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ოპერის სულსა და გულს ეკა გელაშვილს, ნინო მუსერეძეს, ნინო ანანიაშვილს, რომელიც ამჟამად გასტროლებს მართავს აშშ-ში, სუხიშვილებს და ერთგულ მაყურებელს. ბადი მაისურაძემ ფართო ასპარეზი დაუთმო ახალგაზრდა

მომღერლებს და აღნიშნა: „ვერ წარმომიდგენია აბესალომისა და მალხაზის პარტია თემურ გუგუშვილისა და არმაზ დარაშვილის გარეშე“. მან სიტყვა გადასცა საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარეს, მუსიკოლოგს, საქართველოს მასშტაბით გამოვლენილ „საუკუნის ცოცხალ ლეგენდას“ ქალბატონ მანანა ახმეტელს. მან ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია (სიგელი, მედალი და ფულადი ჯილდო) გადასცა სამ გამოჩენილ ქართველ მუსიკოსს: დირიჟორს რევაზ ტაკიძეს, ალექსანდრე კორსანტიას (პიანისტი) და ბადრი მაისურაძეს (ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი), ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის მინიჭება ოპერის 171-ე სეზონის დახურვას დაემთხვა. როგორც მანანა ახმეტელმა აღნიშნა, დიდი ხანია ეს პრემია არ გაცემულა. ზაქარია ფალიაშვილის პრემია ქართული მუსიკალური კულტურის სფეროში ერთადერთი ჯილდოა.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის 172-ე სეზონი, 16-17 სექტემბერს, ზაქარია ფალიაშვილის ოპერით „აბესალომ და ეთერი“ გაიხსნება.



თეატრი „ბერიკონი“ ჩარბაქუმი



დედოფლისწყაროს სცენაზე გამართული „ბახტრიონის“ პრემიერიდან ერთი თვის თავზე კულტურის სახლთან არსებული ახალგაზრდული თეატრი „ბერიკონი“ ვაჟა-ფშაველას მშობლიურ კუთხეში გაემგზავრა და სპექტაკლის პრემიერა უშუალოდ მგოსნის ეზოში გამართა. ბერიკონელებმა რამდენიმე დღის განმავლობაში ფშავ-ხევსურეთი დაათვალიერეს, რაც შთაბეჭდილი იყო მათთვის. სოფელ კორშაში ცხოვრობდნენ. ის შემოქმედებითი გუნდისთვის მნიშვნელოვანია, ეს მიმდინარე წლის ივნისში, 10 წლის საიუბილეო საღამოზეც ბევრჯერ ითქვა. 2013 წელს დედოფლისწყაროში მათი დებიუტი სწორედ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებით შედგა და სურდათ საიუბილეო თარიღი კვლავ ვაჟას შემოქმედებით აღენიშნათ. ასევე დიდი ხანია სურდათ გასულითი სპექტაკლი ჩარბაქუმში ეთამათათ.

ცარო მარტიავილი: „ოცნებები სრულდება!... 27 ივლისს, ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების დღეს, ახალგაზრდული თეატრი ბერიკონი ჩარბაქუმში იმყოფებოდა, სახლ-მუზეუმის ეზოში „ბახტრიონის“ ფრაგმენტები წარმოვადგინეთ. ძალიან ამაღლებული და ამაღლებელი დღე იყო, ზღვა ემოციებით დატვირთული, „ბერიკონელებმა“ ღირსეულად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას და გენიოსის ნაკვალევზე საუკეთესოდ გამოვიდნენ ვოკალური ჯგუფის, „ედელვაისის“ მგალობელთა გუნდის წევრებთან ერთად, რომლებიც სპექტაკლს მუსიკალურად აფორმებდნენ. მადლიერი ვარ სახლ-მუზეუმის დირექტორის მანანა გოდერძაშვილის და მისი თანამშრომლის, მარიამ რაზიკაშვილის, რომელთაც საოცრად მიგვიღეს და ჩვენს იდეას მხარი დაუჭირეს. რადგან ვაჟას გარდაცვალების დღე იყო და სტუმრებიც ჩავედით, ამ კუთხისთვის დამახასიათებელი ტრადიციული ქადის გაჭრის ცერემონიაც შედგა, რომელიც მიცვალებულებისთვის სრულდება. დიდი ხანია არსებობს ეს ტრადიცია, საგანგებოდ აცხობენ ქადას მიცვალებულთათვის და მისარია, რომ ეს ჩვენს თვალწინ შედგა. უდიდესი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით. გვყავდა საუკეთესო გიდი. ვფიქრობ, ჩვენი მთავარი მისია შესრულებულია, რადგან ვაჟას ცხოვრებასთან უფრო ახლოს მივიდნენ ბავშ-

ვები, კარგად გაითავისეს ყველაფერი და ბუნებასთან თანაზიარი ვიყავით. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ზღვა ემოციებისათვის, საუკეთესო დღეებისთვის განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ნიკოლოზ ჯანიამვილს თანადგომისთვის. ეს იყო საუკეთესო საჩუქარი და დიდი მოტივაცია შემდგომი წარმატებული ნაბიჯებისათვის“.

ნიკა ჰანაშვილი (მსახიობი): „ვაჟას სახლ-მუზეუმში პირადად პირველად არ ვიყავი, თუმცა მაინც ემოციური დღეები გვექონდა. საოცარი განცდაა, როდესაც მის მინაზე დგახარ და ასრულებ მთავარ როლს.. პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ მსახიობისთვის ყველა როლი საპასუხისმგებლოა, მაგრამ მითუმეტეს ბევრად დიდი ტვირთია, როცა საქმე ვაჟა-ფშაველას და „ბახტრიონს“ ეხება. ემოციური დღე იყო ნამდვილად როცა

ლობისთვის მინდა ასევე ადგილობრივებს მადლობა გადავუხადო თბილი დახვედრისა და მასპინძლობისთვის“.

ნიკა სენიაშვილი (მსახიობი): „მთაში აქამდე არ ვყოფილვარ, რატომღაც არ მიყვარდა, მაგრამ პირველად ჰაერი რომ ჩავისუნთქე, მივხვდი, შეიძლება ამის შემდეგ მთასა და ბარს შორის არჩევანი მთაზე გავაკეთო. სხვები ამბობენ, რომ ძალიან მაგარი მასპინძლობა იცინა, მე არ ვიტყვი, რადგან ბანალური წინადადებაა. დილით აივანზე რომ გავედი, მივხვდი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ფიქრი ადამიანისთვის. ამის მისახვედრად მე მთა დამჭირდა. ხანდახან მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, კიდევ ერთხელ განმეორდეს ასეთი მომენტი, როცა მზის ამოსვლასთან ერთად, პლედ მოხვეული, ყავით ხელში ვიფიქრებ ჩემს მიმავალზე, ეს ახლა ყველაზე მეტად მაღლებს... რაც შეეხება სპექტაკლს, ჩემთვის ძალიან მარტივი იყო. ალ-



ბავშვებს, რომ დგახარ ვაჟა-ფშაველას მინაზე და სწორედ იქ უნდა განასახიერო მისი პერსონაჟები. ვფიქრობ, ეს ორმაგად საპასუხისმგებლო იყო. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო პირველ რიგში თეატრის ხელმძღვანელს, ცარო მარტიავილს ამხელა შრომისთვის და იმისთვის, რომ მომეცა შესაძლებლობა, მეც მეთამაშა ამ სპექტაკლში. მეამაყება რომ ვარ პირველი თაობის „ბერიკონელი“ და უდიდესი მადლობა ყველას, ვინც ამჯერად მოგვცა საშუალება თეატრი ნასულიყო ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში და სწორედ იქ დაგვედგა „ბახტრიონი“. მადლობა ჩვენს მერს, ნიკოლოზ ჯანიამვილს ამ შესაძლებ-

ბათ იმიტომ, რომ ბევრი ხალხი არ გვესწრებოდა და არც ნაცნობები გვიყურებდნენ. ამავე მიზეზით, დიდად კმაყოფილი არ ვარ ჩემი თამაშით. რადგან ღია სივრცე იყო და მიკროფონები არ გვეხმარებოდა, არც ფართო აუდიტორია იყო, პასუხისმგებლობა ვერ ვიგრძენი. თუმცა, ბავშვებისთვის საამაყო იყო ის, რომ სწორედ ისეთ ადგილას დავდგი ბახტრიონის ალბა, სადაც ბუმბერაზი ადამიანი ცხოვრობდა და მუზეუმის ისტორიაში ერთი საინტერესო დღე ჩავენერეთ. ცარო ლელავდა, მაგრამ იმდენი მოლოდინი არ გავუცრუეთ“.



ულოცავენ! ახრამ ხარაშვილს!!

პოეზიის დიდ მოყვარულს, საქართველოს მასშტაბით გამოვლენილ მეტრის ნომინანტს, ფრიად განსწავლული, წარმატებული შვილების მარინას და გივის უერთგულეს მამას, სამეგობროში გამორჩეულ პიროვნებას, ბატონ ახრამს, ვულოცავთ დაბადების დღეს, 2 აგვისტოს.

პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით: მაყვალა გონაშვილი, მარინა ცხველიანიშვილი, ირმა შიოლაშვილი, თამარ ჩალაბაშვილი.



აგინდი		დედოფლისწყარო	
ორშაბათი 07.08 დღე	სამშაბათი 08.08 ღამე	ოთხშაბათი 09.08 დღე	ხუთშაბათი 10.08 ღამე
33°	21°	32°	20°
პარასკევი 11.08 დღე	შაბათი 12.08 ღამე	კვირა 13.08 დღე	ღამე
32°	20°	31°	19°
32°	20°	30°	18°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ნიკა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტიავილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ჰანაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბანაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინა ჰანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანდაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, № 6 014-468.
გაზეთის გამომწერა წელიწადში – 20 ლარი